სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 54

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის ლევან გიორგობიანის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს „ოფის 1"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით, იურიდიული მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი N20. ფაქტ. მისამართი: როსტევან მეფის ქ. N4, საიდენტიფიკაციო კოდი: 204964039, სს. „თიბისი ბანკი", ბ/კ TBCBGE22, ა/ა GE91TB0600000360203667.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია CPV 39113100 –7 (შვიდი) ერთეული ოფისისათვის საჭირო გორგოლაჭებიანი სავარძელის (ბადის ზედაპირით, ალუმინის ბაზით (D66სმ, სინქრომექანიზმით, რეგ. 2D სახ. და თავის მისადებით, გორგოლაჭით D6სმ, შავი, ZG-B12 Black, ZG-214051 SHU-934011) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2800.00** (ორიათას რვაასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N30.

4.2. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს მოთხოვნიდან 2 (ორ) სამუშაო დღეში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი დავით გიგინეიშვილი რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურების დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად, 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო	მიმწოდებელი: შპს „ოფის 1"-ს
დირექტორი ლევან გიორგობიანი	დირექტორი გიორგი მაღრაძე

LEPL CYBER SECURITY BUREAU

Digitally signed by LEPL CYBER SECURITY BUREAU
Date: 2019.12.23 14:09:25 +04'00'